# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 399

7 სექტემბერი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №56-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.16.01.013.038) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ოპერატორისთვის“ (ს/კ. 405252792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №56-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.16.01.013.038) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ოპერატორისთვის“ (ს/კ. 405252792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 26 აგვისტოს №21.1163.1296 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. №56-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ. №01.16.01.013.038) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ოპერატორისთვის“ (ს/კ. 405252792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 480 (ოთხას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე